MES 1 20 0000791548

08/09/2020

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 26 აგვისტოს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

https://us02web.zoom.us/j/82276012691
Meeting ID: 822 7601 2691

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
მარიკა ზაქარეიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს მდივანი;
თამაზ ბახტაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ქრისტინე მეფარიშვილი- სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
თორნიკე ჯობავა- სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ,,ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ -საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

იურიდიული პირების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლა

ლალი ალფაიძე - დირექტორი
მაკა ვარდოსანიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ლაშა ციგრიაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი პირი

ა(ა)იპ ტრისდორფ აგრობიზნეს კონსალტინგი:

ვერიკო ხომერიკი - ორგანიზაციის ხელმძღვანელი
შოთა გონგლაძე - პროგრამის განმახორციელებელი პირი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

თამარ ახალაძე
ნიკა ჯაფიაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს.
თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდეგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლისთვის - „ფუტკრის პროდუქტების მიღების“ /00576/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლისთვის - „ხეხილის სხვლა-ფორმირების“ /00577/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ ტრისდორფ აგრობიზნეს კონსალტინგისთვის - „ფერმერული მეურნეობის მართვის“ /00709/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ჰქონდათ და საბჭომ განიხილა საკითხები წარმოდგენილი დღის წესრიგის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, ექსპერტებმა დღის წესრიგის პირველ და მეორე საკითხზე ერთად წარმოადგინეს პრეზენტაცია.

1. ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლისთვის - „ფუტკრის პროდუქტების მიღების“ /00576/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენები: ლანა გაჩეჩილაძე, თამარ ახალაძე

2. ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლისთვის - „ხეხილის სხვლა-ფორმირების“ /00577/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენები: ლანა გაჩეჩილაძე, თამარ ახალაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ ორივე დასკვნას.

დასკვნები საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ახალაძემ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლაში ვიზიტით იმყოფებოდნენ მიმდინარე წლის 6 აგვისტოს. ორგანიზაცია მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში, ექსპერტმა და ცენტრის წარმომადგენელმა, ლანა გაჩეჩილაძემ პროგრამები ვიზიტამდე შეისწავლეს, ვიზიტის დროს შეაფასეს მატერიალური ბაზა და გაესაუბრნენ განმახორციელებლებს.
ეს ორგანიზაცია 2013 წლიდან ფუნქიონირებს, მონაწილეობს საქართველოს საპატრიარქოსა და შვეიცარიის მთავრობის დაფინანსებით განხორციელებულ პროექტებში, რეგიონის საჭიროებების მიხედვით ატარებს სხვადასხვა ხანგრძლივობის ტრენინგებს, 2016 წელს ჰქონდა მებოსტნეობის ავტორიზებული პროგრამა. ორგანიზაციას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილება. დაწესებულებას აქვს ფართი, სადაც განთავსებულია მეფუტკრის პროგრამისთვის საჭირო აღჭურვილობა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი პროგრამა აქტუალურია რეგიონისთვის. ხარვეზი გამოვლინდა „ფუტკრის პროდუქტების მიღების“ პროფესიული მომზადების პროგრამის შეფასებისას, კერძოდ, ხარვეზი ეხებოდა სასწავლო რესურსებს - 2.3. ექსპერტების დასკვნით, წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვერ ფარავდა ყველა სწავლის შედეგს სრულყოფილად და იყო მოძველებული. ბოლო წლების განმავლობაში შექმნილია ახალი რესურსები მეფუტკრეობის მიმართულებით. სასურველია, დაწესებულებამ სწავლების პროცესში გამოიყენოს ისეთი რესურსი, სადაც დარგის უახლესი მონაცემებია განთავსებული, აღნიშნა დარგის ექსპერტმა. არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი ფუტკრის ყველა პროდუქტის შესაბამისი რესურსი, თუმცა დაწესებულებამ მაშინვე გაითვალისწინა, მოიძია ახალი სასწავლო რესურსი და წარუდგინა ექსპერტს. ექსპერტმა ერთხელ კიდევ დადასტურა, რომ მათთვის მისაღები იყო ეს რესურსი.
ექსპერტთა მიერ გაცემული იქნა, ასევე, რეკომენდაციები, რომლებზეც პრეზენტაციისას გამახვილდა ყურადღება.
1.1. სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვა, რომელიც ამ მიმართულების სპეციალისტების საჭიროებას კარგად დაასაბუთებდა. მაგალითად: მოკლე მიმოხილვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი მეფუტკრეობის მეურნეობაა რაიონში/რეგიონში.ასევე, სტატისტიკური მონაცემები მეფუტკრეობის დარგის მდგომარეობის შესახებ, ან რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემები, ან კურსდათავრებულთა დასაქმების პოტენციალთან დაკავშირებული რაიმე ინფორმაცია.
1.7. სასურველია გათვალისწინებული იყოს დარგის სეზონურობა. კერძოდ, სასწავლო პროცესი უნდა დაიწყოს გაზაფხულიდან (სასურველია აპრილიდან), რადგან ზამთრის პერიოდში შესაძლებელი არ იქნება პრაქტიკული სწავლება რეალურ სამუშაო გარემოში. მეორე მიღება შესაძლებელია განხორციელდეს ზაფხული- შემოდგომის პერიოდშიც.
1.8. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პედაგოგების გადამზადება შეფასების ინსტრუმენტების მომზადების საკითხებთან დაკავშირებით.
2.1. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გააფორმოს ახალი მომსახურების ხელშეკრულება ან შრომითი ხელშეკრულება არსებითი პირობების გათვალისწინებით, ასევე, სასურველია პროგრამის მდგრადობის უზრუნელსაყოფად დაწესებულებას ჰყავდეს კიდევ ერთი ალტერნატიული პედაგოგი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა იგულისხმება, ექსპერტთა შეფასებაში, რომ პროგრამის განხორციელების მოზანშეწონილობისთვის არ იყო საკმარისი დასაბუთება. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ კარგი იქნებოდა დაწესებულებას წარმოედგინა მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა, სადაც აისახებოდა, რეგიონში რამდენი მეფუტკრეობის მეურნეობაა, რამდენი მეწარმეა ამ სფეროთი დაინტერსებული და რამდენადაა მოთხოვნადი ეს პროფესია. ლანა გაჩეჩილაძემ დაამატა, რომ დაწესებულებას ჰქონდა დაინტერესებული პირების გამოკითხვის შევსებული კითხვარები, თუმცა, კვლევის/დასაბუთების დოკუმენტი არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა სკოლის ხელმძღვანელმა, მან აღნიშნა, რომ ფერმერთა სკოლა 2013 წლიდან ფუქციონირებს, ჯერ, როგორც საქართველოს საპატრიარქოს ფონდ ლაზარეს ერთ-ერთი პროექტი, შემდეგ როგორც

ავტორიზებული კოლეჯი, თუმცა დღეისათვის ავტორიზაცია აღარ აქვთ. პროექტის ფარგლებში საგრანტო განაცხადისას, ფონდის მიერ რეგიონში ჩატარდა იმ პროფესიების მოკვლევა, რაც უფრო აქტუალური იყო რეგიონისთვის და რომელთაც დასაქმების მეტი პერსპექტივა ჰქონდათ, სწორედ ამ პროფესიებიდან გააკეთეს არჩევანი, როცა მომზადების პროგრამას არჩევდნენ, ამავე დროს, 2018 წელს ჩაატარეს მოთხოვნადი პროფესიების კვლევა, თუმცა არ არსებობს ოქმი/კვლევის დოკუმენტი, მაგრამ სინამდვილეში კვლევა ჩატარებულია. ასევე, კვლევა ჩატარებულია ფონდ ლაზარეს მიერ, მაგრამ არც იმ კვლევის ოქმი არ არსებობს, თუმცა დაფინანსება ფონდმა მოიპოვა, მეხილეობის დარგთან დაკავშირებითაც, ისრაელის საელჩოს მიერ ჩატარდა კვლევები, მაგრამ არც იქ არსებობს ოქმი ან რაიმე დოკუმენტი, თუმცა დაფინანსება გაიცა. სკოლას აქვს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების შევსებული კითხვარებიც, თუმცა განაცხადზე არ ჰქონდათ დართული და წარმოდგენლი პროფესიების განხორციელების მიზანშეწონილობა არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც აისახა კიდეც დასკვნაში, თუმცა ვიზიტისას ექსპერტებს აჩვენეს ჩატარებული გამოკითხვები, რაც, ექსპერტებმაც დაადასტურეს და აღნიშნეს, რომ მათ ნახეს სკოლაში არსებული შევსებული კითხვარები და ნამდვილად არ უნდათ სკოლას დაუკარგონ ნამუშევარი, რაც შეეხება ხარვეზს, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უკვე მოიძიეს თანამედროე ლიტერატურა, ჩაანაცვლეს და გამოუგზავნეს ექსპერტებს, რაც ექსპერტებმაც დადასტურეს და თვლიან, რომ შეიძლება ხარვეზი გამოსწორებულად ჩაითვალოს. ფერმერთა სკოლას აქვს კარგი მატერიალური ბაზა, ფუტკრის სკები, შესაბამისი სახელოსნო, რისი თვალსაჩინოებისთვის ექსპერტებმა წარმოადგინეს ფოტომასალა.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, დაწესებულება დაეთანხმა ყველა რეკომენდაციას, ეს რეკომენდაციები რეალურად ორივე პროგრამისთვის საერთო იყო. ხელშკრულებები დაწესებულებამ განაახლა, ასევე, დამატებით კიდევ ერთ განმახორციელებელთან გააფორმეს ხელშეკრულება.

დაწესებულებას 15 მსმენელისათვის სრულიად საკმარისი A გარემო აქვს, 10 სკა ეზოში იყო განთავსებული, 10 მთაში იყო გაყვანილი, აღჭურვილობა და ინვენტარი იმაზე მეტი აქვთ შეძენილი, ვიდრე სჭირდება 15 სტუდენტს.

„ხეხილის სხვლა-ფორმირების“ პროფესიული მომზადების პროგრამის შეფასებისას ექსპერტების მიერ ხარვეზი არ გამოვლენილა. პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, ზღრული რაოდენობა - 30 მსმენელი, ორ ეტაპად მიიღებენ. ყოველკვირეული დატვირთვა 6 საათი.

გაიცა რეკომენდაციები:

1.1. სასურველია დაწესებულებას ჰქონდეს წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვა, რომელიც ამ მიმართულების სპეციალისტების საჭიროებას კარგად დაასაბუთებდა. მაგალითად, მოკლე მიმოხილვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი მეხილეობის მეურნეობაა რაიონში/რეგიონში.ასევე სტატისტიკური მონაცემები მეხილეობის მდგომარეობის შესახებ, ან რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემები, ან კურსდათავრებულთა დასაქმების პოტენციალთან დაკავშირებული რაიმე ინფორმაცია.

1.7.მცენარის სხვლა-ფორმირების სწავლება სეზონურობასთან არის დაკავშირებული, შესაბამისად სასწავლო პროცესის დაწყების დრო უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ შესაძლებელი იყოს მცენარის სხვლა-ფორმირება (შემოდგომა - ადრე გაზაფხული)

1.8. სასურველია დაწესებულებამ მოახდინოს პედაგოგების გადამზადება შეფასების ინსტრუმენტების მომზადებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით.

2.1. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გააფორმოს ახალი მომსახურების ხელშეკრულება ან შრომითი ხელშეკრულება არსებითი პირობების გათვალისწინებით

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სეზონურობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია გაზიარებული იქნა დაწესებულების მიერ, ასევე, პრაქტიკული უნარების შეფასების მიმართულებით მასწავლებელთა გადამზადებასთან დაკავშირებული რეკომენდაციაც გაიზიარეს და მომსახურების ხელშკრულებებიც გააფორმეს და წარმოადგინეს. დაწესებულებას

საკუთრებაში აქვს ხეხილის ბაღი 2 ჰექტარი, სადაც წარმოდენილია სხვადასხვა მცენარეული კულტურები: ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ვაზი.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ, მხოლოდ მარიკა ზაქარეიშვილს ჰქონდა კითხვა, რატომ შეექმნათ ბარიერი და ვერ წარმოადგინეს ერთ დოკუმენტად შიდა კვლევის შედეგები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ 2018 წლის კვლევის შედეგებით ყველაფერი გასაგები იყო და მხოლოდ დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი განაცხადთან ერთად, კვლევა ეხლა არ ჩაუტარებიათ, 2018 წელს ჩატარდა და გასაგები იყო, რა იყო პრიორიტეტი, მაშინ არ იყო ოქმი შედგენილი და მხოლოდ ანკეტები არსებობდა, აღნიშნა ლალი ალფაიძემ. რაზეც მარიკა ზაქარეიშვილმა დაამატა, რომ განაცხადი არ ითხოვს ძირეულ კვლევას, საკმარისია მოკლე დასაბუთების დოკუმენტი და ეს დაწესებულებას უნდა სცოდნოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ გააქტიურონ დაინტერესებული ორგანიზაციების კონსულტირება, რათა ორგანიზაციებმა მეტად მომზადებულებმა გააკეთონ განაცხადი. ცენტრის წამომადგენელმა განაცხადა, რომ ცენტრში კონსულტირებისთვის კვირის 2 დღეა გამოყოფილი, ბევრი დაინტერესებული პირი და ორგანიზაცია სარგებლობს ამ სერვისით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სურდათ თუ არა საბჭოს წევრებს სათათბირო დროის გამოყენება, საბჭოს წევრებმა არ ჩათვალეს საჭიროდ სათათბირო დროის გამოყენება და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლისთვის (ს/კ: 438111106) პროფესიული მომზადების პროგრამა - „ფუტკრის პროდუქტების მიღება“ /00576 (დანართი) განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,
ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლას (ს/კ: 438111106) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფუტკრის პროდუქტების მიღება /00576 **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 26 აგვისტო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლისთვის (ს/კ: 438111106) პროფესიული მომზადების პროგრამა - „ხეხილის სხვლა-ფორმირება“/00577 (დანართი) განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,
ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლას (ს/კ: 438111106) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ხეხილის სხვლა-ფორმირება /00577 **(დანართი2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 26 აგვისტო.

3. ა(ა)იპ ტრისდორფ აგრობიზნეს კონსალტინგისთვის - „ფერმერული მეურნეობის მართვის“ /00709/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენები: მაყვალა დარსანია, ნიკა ჯაფიაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კომპანიის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობენ დასკვნას.

დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა მაყვალა დარსანიამ. მან აღნიშნა, რომ ეს არის იურიდიული პირი, რომელსაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ კოლეჯ „აისთან“ და მის ბაზაზე განხორციელდება გადამზადების პროგრამა „ფერმერული მეურნეობის მართვა“. პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული. მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, მოთხოვნილი იყო 30, მაგრამ ვიზიტის ფარგლებში რესურსების შეფასების შემდეგ, ექსპერტები და კომპანია შეთანხმდნენ, რომ ამ ეტაპზე მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება 20-ით. არცერთი სტანდარტის ფარგლებში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება გამყარებული იყო შესაბამისი კვლევით. პროგრამის რესურსების შესაბამისობა ყველა ქვესტანდარტთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა წარმოდგენილი, ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია. კოლეჯს კომპანიისთვის დათმობილი აქვს ერთი სასწავლო აუდიტორია, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსი სახეზეა, რაც ექსპერტებმა ფოტომასალითაც გახადეს თვალსაჩინო. ექსპერტების ინფორმაციით, განხორციელდა გასაუბრება განმახორციელებლებთან.
გაიცა ორი რეკომენდაცია დარგის ექსპერტის მიერ:

1.8 ა) სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევისათვის, სასურველია პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებდეს და სწავლების პროცესშიც ყურადღება გამახვილდეს სოფლის მეურნეობის უკონტროლო რისკებზე, რომლებიც ხელს უშლის სასოფლო სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას, როგორიცაა მაგალითად სეტყვა.
ბ) ასევე სასურველია, მსმენელებს ინფორმაცია მიეწოდოთ აგრო დაზღვევის სახელწიფო პროგრამის შესახებ, რომელიც ხორციელდება სასოფლო სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით და სასოფლო სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისათვის რისკების შემცირებით, ეს მსმენელებს საშუალებას მისცემს სწორად შეაფასონ სასოფლო სამეურნეო რისკები, და ფინანსური ანგარიშგებისას მხედველობაში მიიღონ, როგორც რისკების არსებობა, ისე აგრარული ბიზნესის დაზღვევის საკითხები.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ეს რეკომენდაციები რომელიმე სწავლის შედეგს უშუალოდ ხომ არ უკავშირდება, ასევე, მოითხოვა დამატებითი განმარტება დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით და პრაქტიკული პროექტის შინაარსის დეტალური აღწერა, პრაქტიკული პროექტის ფარგლებში ფინანსური გეგმა მოიცავს თუ არა ფინანსური აღრიცხვის საკითხებს დეტალურად, მარკეტინგის საკითხები პროგრამაში არის თუ არა ასახული. განმარტებები გააკეთა კომპანიის წამომადგენელმა, მან განმარტა, რომ უკონტროლო რისკების საკითხი თემატიკაში კარგად ჩანს, დაზღვევის საკითხის ცალკე გამოტანა არ ჩათვალეს საჭიროდ, რადგან ერთი წლის შედეგ ეს პროგრამა შეიძლება აღარ არსებობდეს. რაც შეეხება ონლაინ სწავლებას, გაეროს პროექტის ფარგლებში გატესტილი აქვთ ონლაინ სწავლება, და სავსებით შესაძლებელია, განახორციელონ. რაც შეეხება პრაქტიკულ პროექტს, პარტნიორია "ნუტრიმაქსი", თუ რომელიმე მსმენელს არ ქნება საკუთარი ფერმა, "ნუტრმაქსის" ბაზაზე შეიძლება მომზადონ პრაქტიკული პროექტი და ამ კომპანიის პარამეტრები გამოიყენონ. მსმენელმა უნდა შეძლოს პროექტის ფარგლებში ოპტიმიზაციის გეგმის მომზადებაც, მარკეტინგული ღონისძიებების, ასევე, ბაზრის კვლევისა და კომუნიკაციის საკითხებზე მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული თემატიკაში. საგადასახადო კანონმდებლობის საბაზისო ცოდნის მიწოდებაც ასახულია თემატიკაში, აღნიშნა კომპანის წარმომადგენელმა.
ქრისტინე მეფარიშვილი დაინტერესდა, რამდენადაა შესაძლებელი 10 კვირაში ასეთი დიდი მოცულობის შედეგების მიღწევა, სასურველია კარგი კანდიდატები შეარჩიონ, ვისაც საწყისი ცოდნაც ექნება და გამოცდილებაც, რომ ადვილად დაძლიონ წარმოდგენილი თემატიკა.
დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ კახეთში დიდი რაოდენობითაა უკონტროლო რისკები, ამდენად, საჭიროდ ჩათვალა, რომ ამ საკითხზე აუცილებლად გამახვლდეს პროგრამაში ყურადღება, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის არსებობაც დიდი დახმარებაა სახელმწიფოს მხრიდან და ამის თაობაზე უნდა იცოდნენ ფერმერება, რაც თავიანთი აგრარული ბიზნესის დაგეგმვას გაუმარტივებთ. რაც შეხება მასალის ათვისებას, რადგანაც გადამზადების პროგამაა და გარკვეული წინაპირობებით მოვლენ მსმენელები, ამავე დროს, უფრო მეურნეობის მართვაზე მახვილდება ყურადღება და არა ყველაფრის ცოდნაზე, სავსებით შესაძლებლად მიაჩნია 10 კვირაში პროგრამის თემატიკის დაძლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ტრისდორფ აგრობიზნეს კონსალტინგისთვის - „ფერმერული მეურნეობის მართვის“ /00709/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე : 7
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ ტრისდორფ აგრობიზნეს კონსალტინგს მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - „ფერმერული მეურნეობის მართვა“ /00709/ **(დანართი 3).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 26 აგვისტო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, 15:35 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00576	ფუტკრის პროდუქტების მიღება	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	30	საგარეჯოს რაიონი, სოფ. ნინოწმინდა

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00577	ხეხილის სხვლა-ფორმირება	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	30	საგარეჯოს რაიონი, სოფ. ნინოწმინდა

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00709	ფერმერული მეურნეობის მართვა	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	10	ქართული	20	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი